

შპს ფლიტ პროს
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	კომ.	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	232 238,37	139 071,28
სავაჭრო მოთხოვნები		336 717,96	375 694,83
მარაგები		343 962,55	370 722,62
წინასწარ გადახდილი ხარჯები		488,29	488,29
		913 407,17	885 977,02
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	4	1 105 881,01	1 051 623,03
		1 105 881,01	1 051 623,03
		2 019 288,18	1 937 600,05
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	79 147,43	344 399,33
საგადასახადო ვალდებულებები		29 195,91	39 655,00
		108 343,34	384 054,33
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		126 249,23	160 196,07
		126 249,23	160 196,07
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200,00	200,00
გაუნაწილებელი მოგება		1 716 228,07	1 324 882,11
გადაფასების რეზერვი		68 267,54	68 267,54
		1 784 695,61	1 393 349,65
		2 019 288,18	1 937 600,05

დირექტორი

ს. კულიჯანოვი

ბუღალტერი

ი. მაჩიტაძე



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	კომ.	2023	2022
ამონაგები მომსახურებიდან		2 728 897,40	2 652 939,52
გახარჯული მასალები		(851 084,20)	(1 002 028,45)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 142 903,77)	(971 685,78)
ცვეთა და ამორტიზაცია		(46 152,16)	(43 673,81)
საპროცენტო ხარჯი		(8 438,29)	(7 472,38)
იჯარის ხარჯი		(27 000,00)	(27 000,00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(196 694,98)	(188 339,05)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		456 624,00	412 740,05
არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი			
მოგება / (ზარალი) მირ. საშულაბების რეალიზაციიდან		(43 045,19)	(1 896,58)
მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(3 655,01)	23 528,19
არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		(46 700,20)	21 631,61
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		409 923,80	434 371,66
მოგების გადასახადი		(2 786,68)	(78 018,58)
წმინდა მოგება / (ზარალი)		407 137,12	356 353,08
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(15 791,16)	(442 105,28)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1 784 695,62	1 393 349,66

დირექტორი

ს. კულიჯანოვი



ბუღალტერი

ი. მაჩიტაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ფლიტ პრო (ს/ნ 206322807, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2008 წლის 22 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აბუსელიძე-ტბელის ქ., N16.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- სერგო კულიჯანოვი (პ/ნ 01011003009) – 50%;
- ალექსანდრე ვაჭარაძე (პ/ნ 01012018004) – 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - სერგო კულიჯანოვი (პ/ნ 01011003009).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო მომსახურების გაწევა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.23	31.12.22
ნაღდი ფული	197 238,04	67 972,09
ეროვნული ვალუტა ბანკში	34 941,84	55 178,77
უცხოური ვალუტა ბანკში	58,49	15 920,42
	232 238,37	139 071,28

4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	წმინდა ცვლილება	ცვლილება	ნარჩენი ღირებულება 31.12.2023
მიწის ნაკვეთები	384 080,51	-	-	384 080,51
შენობები	41 258,82	-	(1 726,61)	39 532,21
დაუმთავრებელი მშენებლობები	25 599,51	-	-	25 599,51
ოფისის აღჭურვილობა	127 678,19	17 506,01	(25 560,09)	119 624,11
ავტომობილები	469 587,98	82 904,13	(18 303,07)	534 189,04
არამატ. აქტივები	65,52	-	(11,91)	53,61
იჯარის კეთილმოწყობა	3 352,79	-	(550,47)	2 802,32
	1 051 623,32	100 410,14	(46 152,15)	1 105 881,31

5. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.23	31.12.22
მომწოდებლები	70 005,90	111 536,03
მიღებული ავანსები	9 141,53	232 863,30
	79 147,43	344 399,33

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	24 976,63	20 343,89
ძირ. საშუალებების რემონტი	486,96	508,47
საგადასახადო ხარჯი	7 321,25	5 994,73
საკანცელარიო ხარჯი	744,62	1 163,82
სარეკლამო ხარჯი	-	50 847,46
კომუნიკაციის ხარჯები	424,68	60,00
დაზღვევა	75 823,01	55 823,26
დაცვის მომსახურება	1 372,92	1 372,92
კომუნალური ხარჯი	13 366,58	12 645,12
ბანკის საკომისიო	3 744,33	3 739,23
საპენსიო დაგროვება	21 031,45	18 079,29
კომპიუტერული ხარჯი	2 280,97	1 894,14
ოფისის ხარჯი	33 740,34	12 281,24
სხვა ხარჯები	11 381,24	3 585,48
	196 694,98	188 339,05